



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ეროვნული სატყეო სააგენტო

გულუას ქ.№6, 0114, ქ. თბილისი, საქართველო, ტელ: (+995 32) 2753959

N 11/1002



25/02/2022

1002-11-2-202202251237

მოქალაქე **ლიზი გოგოლაძეს**

ქალბატონო ლიზი,

2022 წლის 24 თებერვლის N2968/11 წერილის პასუხად დანართის სახით წარმოგიდგენთ 2010-2020 წლებში სახელმწიფო ტყის ტერიტორიაზე დაფიქსირებული ხანძრების სტატისტიკას და გაცნობებთ, რომ აღნიშნული ინფორმაცია ხელმისაწვდომია სააგენტოს ვებ გვერდზე <https://forestry.gov.ge/Ge/Projects/Details/20?menuId=28>

აქვე გაცნობებთ, რომ ტყეში ხანძრის დაწყების მიზეზები შეიძლება იყოს ანთროპოგენური, ანუ ადამიანის საქმიანობა, ან უყურადღებობა, და ბუნებრივი, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებულია ელვა.

მეტეოროლოგიური ფაქტორები გავლენას ახდენენ ხანძრის გავრცელებაზე, მის ინტენსიურობაზე. მაღალი ტემპერატურის დროს ფარდობითი ტენიანობა არის დაბალი და ხანძარი უფრო სწრაფად ვრცელდება. მაღალი ტემპერატურა პირდაპირ ზემოქმედებს ხე-მცენარეზე, როგორც წვად მასალაზე, რაც უფრო დაბალია ხე-მცენარის ტენიანობა, მით უფრო ადვილად ეკიდება მას ცეცხლი და უფრო სწრაფად ვრცელდება.

ტყის ხანძრის განვითარებაზე გავლენას ახდენს სამი ძირითადი ფაქტორი:

1. ამინდი (ნალექი, ჰაერის ტემპერატურა, ფარდობითი ტენიანობა, ქარი);
2. წვადი მასალა ან არსებული ხე-მცენარეები
 - მოცულობა - ტერიტორიაზე ხე-მცენარეების რაოდენობა
 - ტიპი - ფოთლოვანი/წიწვოვანი
 - ზომა - ხე/ბუჩქი/ბალახი
 - მდგომარეობა - ხე-მცენარის ტენიანობა
3. ტოპოგრაფია (ფერდი).

დანართი: 1 ფაილი

პატივისცემით,

ნანი მკედლიშვილი



მთავარი სპეციალისტი

